



საქართველო, თბილისი 0177

თამარაშვილის ქ. № 15ა

ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 395 350

15a Tamarashvili str.

Tbilisi 0177, Georgia

Tel./Fax: (+995 32) 2 395 350

www.atipfund.gov.ge

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

State Fund for Protection and Assistance of (Statutory) Victims of Human Trafficking



KA030834574074116

№ 07-5/ო

06 / იანვარი / 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების განსაზღვრისა და ცენტრალური აპარატის დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 თებერვლის №146 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დებულების“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის (შემდგომში – ფონდი) დირექტორის უშუალო დაქვემდებარებაში განისაზღვროს ფონდის მონიტორინგის, შეფასებისა და პროექტების დიზაინის სამმართველო.
2. ფონდის დირექტორის მოადგილის – ლაშა ჯინჯიხაძის დაქვემდებარებაში განისაზღვროს ფონდის სამართლებრივი უზრუნველყოფის, საზოგადოებასთან და დონორებთან ურთიერთობის დეპარტამენტი და დაევალოს შემდეგი უფლება-მოვალეობების განხორციელება:
 - ა) მის საკურატორო სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე ზედამხედველობა და კონტროლი;
 - ბ) ფონდის სამართლებრივი და საინფორმაციო უზრუნველყოფა;
 - გ) თავის საკურატორო სფეროში დასაქმებულ ფონდის თანამშრომლებს შორის მოვალეობების განაწილება, მათთვის სათანადო მითითებებისა და დავალებების მიცემა, ფონდის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების კონტროლი;
 - დ) ფონდის დირექტორისათვის წინადადებების წარდგენა მის საკურატორო სფეროში დასაქმებულ პირთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;
 - ე) თავის საკურატორო სფეროში ფონდის საქმიანობისათვის საჭირო ღონისძიებების რეგულირებისა და სრულყოფის შესახებ წინადადებების წარდგენა ფონდის დირექტორისათვის;

ვ) მისი კომპეტენციის ფარგლებში ფონდის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების მუშაობის კოორდინაცია, მართვა და კონტროლი;

ზ) ფონდის მიერ ბენეფიციართათვის მიწოდებული სოციალური მომსახურების მართვა, კონტროლი და განვითარება;

თ) ფონდის საქმიანობიდან გამომდინარე და კანონმდებლობით ნებადართული ფონდის დირექტორის სხვა დავალებების შესრულება.

3. ფონდის დირექტორის მოადგილის – ბელა გოგუას დაქვემდებარებაში განისაზღვროს ფონდის ადმინისტრაციული დეპარტამენტი და დაევალოს შემდეგი უფლება-მოვალეობების განხორციელება:

ა) მის საკურატორო სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე ზედამხედველობა და კონტროლი;

ბ) ფონდის მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაზე ზედამხედველობა;

გ) ფონდის სახსრების განკარგვაზე და მათ გამოყენებაზე, აგრეთვე ფონდის საკუთრებაში, მფლობელობასა და/ან სარგებლობაში არსებული ქონებისა და ფულადი სახსრების მიზნობრივ და სწორ ხარჯვაზე კონტროლი;

დ) თავის საკურატორო სფეროში დასაქმებულ ფონდის თანამშრომლებს შორის მოვალეობების განაწილება, მათთვის სათანადო მითითებებისა და დავალებების მიცემა, ფონდის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების კონტროლი;

ე) ფონდის დირექტორისათვის წინადადებების წარდგენა მის საკურატორო სფეროში დასაქმებულ პირთა წახალისებისა დამათთვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

ვ) თავის საკურატორო სფეროში ფონდის საქმიანობისათვის საჭირო ღონისძიებების რეგულირებისა და სრულყოფის შესახებ წინადადებების წარდგენა ფონდის დირექტორისათვის;

ზ) ფონდის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების საფინანსო-სამეურნეო ფუნქციების შესრულების კონტროლი;

თ) ფონდის საქმიანობიდან გამომდინარე და კანონმდებლობით ნებადართული ფონდის დირექტორის სხვა დავალებების შესრულება.

4. ფონდის დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის – გიგა ყავრელიშვილის დაქვემდებარებაში განისაზღვროს ფონდის აპარატი და დაევალოს შემდეგი უფლება-მოვალეობების განხორციელება:

ა) მის საკურატორო სფეროს მიკუთვნებულ საკითხებზე ზედამხედველობა და კონტროლი;

ბ) თავის საკურატორო სფეროში დასაქმებულ ფონდის თანამშრომლებს შორის მოვალეობების განაწილება, მათთვის სათანადო მითითებებისა და დავალებების მიცემა, ფონდის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების კონტროლი;

გ) ფონდის დირექტორისათვის წინადადებების წარდგენა მის საკურატორო სფეროში დასაქმებულ პირთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ;

დ) თავის საკურატორო სფეროში ფონდის საქმიანობისათვის საჭირო ღონისძიებების რეგულირებისა და სრულყოფის შესახებ წინადადებების წარდგენა ფონდის დირექტორისათვის;

ე) ფონდში საქმისწარმოებისა და საკადრო პოლიტიკის მართვა და კონტროლი;

ვ) ფონდის საქმიანობიდან გამომდინარე და კანონმდებლობით ნებადართული ფონდის დირექტორის სხვა დავალებების შესრულება.

5. ფონდის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს:

ა) ფონდის დირექტორის მოადგილე ლაშა ჯინჯიხაძე;

ბ) ფონდის დირექტორისა და ფონდის დირექტორის მოადგილის ლაშა ჯინჯიხაძის არყოფნის შემთხვევაში – ფონდის დირექტორის მოადგილე ბელა გოგუა;

გ) ფონდის დირექტორის, ფონდის დირექტორის მოადგილეების ლაშა ჯინჯიხაძისა და ბელა გოგუას არყოფნის შემთხვევაში – ფონდის დირექტორის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი გიგა ყავრელიშვილი.

6. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ცენტრალური აპარატის

თანდართული დებულება.

7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელობის უფლებამოსილების განსაზღვრისა და ცენტრალური აპარატის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის 2015 წლის 21 აგვისტოს №07-143/ობრძანება.

8. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

დირექტორი

თამილა ბარკალაია

